



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე

დავით შატაკიშვილი

189

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით შატაკიშვილი

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე

189

2022



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

რუსულ აგრესიას უკრაინაში დასავლეთის მხრიდან საპასუხო პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები მოჰყვა, რაც უპრეცედენტო მასშტაბის სანქციების შვიდ პაკეტში აისახა. ცხადია, პარტნიორების შეთანხმებულმა ნაბიჯებმა აგრესორ ქვეყანას მძიმე დარტყმა მიაყენა, რამაც მისი თითქმის ყველა სფერო, კრიტიკული მნიშვნელობის ინდუსტრია და ფინანსური ინსტიტუტები მოიცვა. თუმცა, ეკონომიკის გლობალიზაციის მასშტაბებიდან გამომდინარე, მძიმე შედეგებს ვერც თავად დასავლეთმა აარიდა თავი. არსებულ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას, ერთი მხრივ, განაპირობებს თავად ომი, რადგან რუსეთი და უკრაინა გლობალურ ვაჭრობაში უმსხვილესი მოთამაშეები არიან და მსოფლიოში მოწინავე ადგილებს იკავებენ ისეთი ძირითადი მოხმარების პროდუქტების წარმოებაში, როგორებიცაა ხორბალი, მარცვლეული, ზეთი და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ენერგეტიკულ რესურსებსა და ტექნოლოგიურ კომპონენტებზე. მეორე მხრივ, ვითარებას ამძიმებს სანქციები, რამაც, თავის მხრივ, დააზარალა მიწოდების ჯაჭვები და გაზარდა სამომხმარებლო ფასები. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე ხდება, როდესაც გლობალური ეკონომიკა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული პანდემიური შოკებიდან და სწორედ მიმდინარე წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა მისი გაჯანსაღების პროცესები. თუმცა, მოსკოვის ომმა ევროპის ტერიტორიულად უდიდესი ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური პროგნოზები და გეგმები თავდაყირა დააყენა.

ეჭვგარეშეა, რომ დასავლეთის მხრიდან აგრესიის საპასუხო სანქციებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და მიმართულია მოსკოვის ავტორიტარული რეჟიმის ომის მანქანის გამოფიტვისკენ. მიუხედავად იმისა, რომ თავად შეზღუდვების დამწესებელი ქვეყნები ამით მნიშვნელოვნად ზარალდებიან, ეს ნაბიჯები იყო აუცილებელი, რათა უკრაინის შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნები არ გამხდარიყვნენ აგრესიის მსხვერპლი. ომის დაწყებიდან 200 დღეზე მეტი გავიდა და მსოფლიო ეკონომიკური ლანდშაფტიც მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც ქვეყნებს უკიდურესი გადაწყვეტილებების მიღებისკენაც კი უბიძგა. მაღალი ინფლაცია, შეფერხებები წარმოებასა და მიწოდების ჯაჭვებში, ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი, თუ არა რეცესია რიგ შემთხვევებში – ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რომელთა წინაშეც უამრავი სახელმწიფო აღმოჩნდა. ევროპის შემთხვევაში ვითარებას კიდევ უფრო ართულებს მისი მაღალი დამოკიდებულება რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც წინ გრძელი და ცივი ზამთარია.

ევროკავშირი მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შემდეგ რიგით მესამე უმსხვილესი ეკონომიკაა. ამგვარად, მის წინაშე არსებულ გამოწვევებს ჯაჭვური რეაქცია აქვს და უამრავ ქვეყანაზე ვრცელდება. უკრაინის მხარდაჭერის კონტექსტშიც, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთთან ერთად, იგი, ერთი მხრივ, იყო იმ შეზღუდვების მთავარი ინიციატორი და განმახორციელებელი, რამაც მოსკოვის რეჟიმს ხელშესახები პრობლემები შეუქმნა, ხოლო მეორე მხრივ, იგი

უდიდეს როლს ასრულებს ლტოლვილების შეფარებისა და უკრაინის ფინანსური თუ სამხედრო შეიარაღებით დახმარების კუთხით. საინტერესოა განვიხილოთ თავად რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ ევროგაერთიანების სახელმწიფოები, რა ნაბიჯები გადადგეს მათ აღნიშნულ პრობლემებთან გასამკლავებლად და როგორია მათი ეკონომიკური ზრდის პროგნოზები.


ინფლაცია

ინფლაცია ევროკავშირის ერთ-ერთი უპირველესი და საყურადღებო გამოწვევაა, რადგან ფასების საყოველთაო დონის ზრდა პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, მათ ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხზე. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების ფონზე ევროგაერთიანებაში ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, ევროსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის აგვისტოში ინფლაციის წლიურმა დონემ 9.1%-იან ნიშნულს მიაღწია, რაც არსებულ მოლოდინთან მიმართებით გაცილებით მაღალი მაჩვენებელია (Eurostat, 2022). შედარებისთვის, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 3% იყო. გაზრდილია ფასები, როგორც ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე, ასევე ალკოჰოლზე, თამბაქოზე, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და ავტომობილებზე, რომელთა ღირებულებაც, გასულ წელთან შედარებით, 5-7%-ით არის მომატებული.

ევროპელი ლიდერების განცხადებების თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მაღალი ინფლაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების ზრდაა, რამაც დაახლოებით 38% შეადგინა (Eurostat, 2022). ეს, რა თქმა უნდა, უდიდეს გავლენას ახდენს საწარმოო სექტორების გამართულ მუშაობაზე, ხოლო, თავის მხრივ, უარყოფითი ეფექტი აქვს ვაჭრობასა და მიწოდების ჯაჭვებზე. ზამთრის მოახლოებასთან ერთად ევროპელი ექსპერტები ენერგეტიკულ რესურსებსა და საკვებ პროდუქტებზე ფასების კიდევ უფრო ზრდის პროგნოზს აკეთებენ. მთავარი კითხვაა: რამდენად მძიმე შედეგების მომტანი იქნება და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი ევროპული სახელმწიფოებისთვის (Ward-Glenton, 2022)?

აგვისტოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი ინფლაცია საფრანგეთში იყო, რამაც 6.6 % შეადგინა, ხოლო ყველაზე მაღალი – ესტონეთში, 25.2 %, ლატვიასა – 21.4 % და ლიეტუვაში – 21.1 % (Eurostat, 2022). გრაფიკი 1.1-ზე მოცემულია აგვისტოსთვის წლიური ინფლაციის დონე ევროპის ქვეყნების მიხედვით.


გრაფიკი 1.1



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური (ევროსტატი)

გრაფიკი 1.2-ზე კი წარმოდგენილია ევროკავშირის წლიური ინფლაციის დონე თვეების მიხედვით და შედარებულია 2021 და 2022 წლები. გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ მიმდინარე წელს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ფასების საერთო დონის შესამჩნევი ზრდაა.

გრაფიკი 1.2



წყარო: ევროპის სტატისტიკის სამსახური (ევროსტატი)

ევროპის პოლიტიკური ლიდერები შიშობენ, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მაღალი ინფლაცია, რომელიც უკვე ორნიშნა რიცხვს უახლოვდება, კიდევ უფრო გაიზრდება, რაც გავლენას მოახდენს შინამეურნეობების დანაზოგების შემცირებაზე და ხელს შეუშლის ინვესტიციების განხორციელებასა და სხვა აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობებს. საბოლოოდ, ყველაფერი ევროპის მოსახლეობაზე მოქმედებს უარყოფითად და პირდაპირ აისახება მათი ცხოვრების ხარისხზე. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ასევე განაახლა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებიც. მათი ვარაუდით, ინფლაცია წელს იქნება 8.1 %, 2023 წელს - 5.5 %, ხოლო 2024 წელს - 2.3 %, რითაც 2021 წლის წლიურ მაჩვენებელს დაუბრუნდება (ECB, 2022).

მაღალ ინფლაციასთან გასამკლავებლად და პოტენციური რისკების გათვალისწინებით, ევროგაერთიანების ქვეყნები სხვადასხვა სახის დახმარების პროგრამებს ახორციელებენ. მათი მიზანია როგორც მოსახლეობისთვის გაზრდილი სამომხმარებლო ფასების შედარებით შემსუბუქება, ასევე კერძო სექტორის დახმარება, რათა ნაკლები გადაუხადონ სახელმწიფოს და მეტი ფინანსური რესურსი დარჩეთ როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე რეინვესტირებისთვის. ასეთი სახის მასტიმულირებელი პროგრამები მოიცავს: მოსახლეობის ფულად დახმარებას, პენსიების ზრდას, ბიზნესისთვის გადასახადების ნაწილობრივი ჩამოწერის ან გადავადების პროგრამებს, საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, უმუშევრობის დახმარებას და ა.შ. რამდენადაც მოსახლეობისთვის მსგავსი ტიპის შემწეობები შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში იყოს შვება, იმდენად ცუდია სახელმწიფოსთვის, რადგან ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან აკლდება სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებას, რამაც ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობა, განვითარება და ეკონომიკური ზრდა უნდა უზრუნველყოს.

მონეტარული პოლიტიკა

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) მონეტარული პოლიტიკა საგრძნობლად გაამკაცრა, რისი მიზნებიც მაღალი ინფლაცია და ბოლო 20 წლის განმავლობაში ამერიკულ დოლართან მიმართებით ევროს ყველაზე დაბალი ღირებულებაა. მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ევროპის ცენტრალური ბანკის მმართველმა კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი 75 საბაზო პუნქტით გაზარდა და მან 0.75%-იან ნიშნულს მიაღწია მაშინ, როდესაც აქამდე ეს მაჩვენებელი 0% იყო (ECB, 2022). ეს გადაწყვეტილება ევროზონის 19 ქვეყანას შეეხო და იგი მიზნად ისახავს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივ 2%-მდე შემცირებას. სავარაუდოდ, მოკლევადიან პერიოდში ეს ნაბიჯი დადებითად იმოქმედებდა ევროს გაცვლით კურსზე, რომ არა ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის (FED) გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის ასევე გამკაცრების თაობაზე. მიმდინარე წლის 21 სექტემბრის შეხვედრაზე FED-ის მმართველმა კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის 75 პუნქტით გაზრდას დაუჭირა მხარი, რის შედეგადაც ძირითადად განაკვეთმა 3.25 %-ს მიაღწია (FED, 2022). ცხადია, ამან უარყოფითად იმოქმედა ევროს ღირებულებაზე, რაც, თავის მხრივ, ევროპაში არსებული მაღალი

ინფლაციის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. მოსალოდნელია, რომ კომიტეტების მომდევნო სხდომებზე როგორც ამერიკული, ისე ევროპული საფინანსო ორგანოები კიდევ უფრო მკაცრ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ECB-ის გადაწყვეტილებები დაგვიანებულია და მათ კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდებათ FED-ის ზრდის ტემპთან დასაწევად.

ზოგადად, რეფინანსირების განაკვეთი ინფლაციის კონტროლის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია, თუმცა მას, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებაზე და მის შენელებას უწყობს ხელს. გლობალური ეკონომიკური სირთულეებისა და რისკების გათვალისწინებით, ევროპის ცენტრალურ ბანკს უწევს რთული ბალანსის დაცვა მზარდი ინფლაციის კონტროლსა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას შორის.

რეფინანსირების მაჩვენებელი კომერციული ბანკების მიერ გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა, თავისუფალ ბაზრებზე, მაგალითად, როგორიცაა ევროზონა, მასზე გავლენას ახდენს საკრედიტო მოთხოვნა-მიწოდებაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენის დახარჯვისა და ინვესტირების შესაძლებლობა აქვთ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე ბიზნესსექტორს. თუ, მაგალითად, აღნიშნულ პირებს სურთ ინვესტირება, მაგრამ უჭირთ საკმარისი ფულადი სახსრების მიღება საბანკო ინსტიტუტებისგან, ეს საპროცენტო განაკვეთის ზრდას შეუწყობს ხელს, რაც ნიშნავს, რომ ფულის სესხება გაძვირდება. როდესაც ევროპის ცენტრალური ბანკი ზრდის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ამით იზრდება საპროცენტო განაკვეთი როგორც კომერციული ბანკების მიერ გასაცემ სესხებზე, ასევე სარგებელი დეპოზიტებზე. ამგვარად, წლიური სარგებლის გათვალისწინებით, მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ხდება თანხების შენახვა და დაზოგვა, ხოლო საბანკო ფულზე მოთხოვნა კი იკლებს. შედეგად, სხვადასხვა სახის პროდუქტსა და სერვისზე იკლებს საერთო მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასი, ასევე – ნაკლებად ხდება აქტიური ვაჭრობა და ქვეყნის გარეთ ეროვნული ვალუტის გადინება. ცხადია, მხოლოდ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა პრობლემებს ვერ აღმოფხვრის და ვერც ინფლაციის გამომწვევ გარე ფაქტორებს დაუპირისპირდება, თუმცა მას შეუძლია ინფლაციური მოლოდინის კონტროლქვეშ მოქცევა, რაც მისი მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

ეკონომიკური ზრდა

ევროკავშირის სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის პროგნოზების შესახებ განსხვავებული მოლოდინი არსებობს, რაც რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობასა და დასავლეთის მხრიდან დაწესებულ საპასუხო სანქციებთან ერთად იცვლებოდა. ფაქტი ერთია, რომ მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირი დგას როგორც მაღალი ინფლაციის, ასევე ისეთი გამომწვევების წინაშე, როგორიცაა მიწოდების ჯაჭვების დარღვევა, შეზღუდვები წარმოებისთვის საჭირო კომპონენტების მიღებაში, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური შეფერხებები, ენერგეტიკული რესურსები, მოსახლეობისა და კერძო სექტორის სუბსიდირების

საჭიროებები და სხვა. ცხადია, ეს ყველაფერი უდიდეს გავლენას ახდენს ევროპის ეკონომიკების ჯანსაღ მუშაობასა და მწარმოებლურობაზე, რაც პირდაპირ აისახება მთლიან სამამულო პროდუქტზე. ზოგადი გაურკვევლობა და მოსკოვის რეჟიმის იმპულსური ქმედებები კი ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს და ნაკლებად პროგნოზირებადს ხდის.

ენერგეტიკული ფასების ზრდა, სამომხმარებლო დანახარჯების შემცირება და ბიზნესის აქტიურობის კლება ევროპის ქვეყნების მასშტაბით მათ ეკონომიკას უდიდეს სტრესში აქცევს და პოტენციური რეცესიის რისკებსაც ზრდის. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ევროკავშირის ეკონომიკა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით 0.6 %-ით, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4%-ით გაიზარდა (ECB, 2022). მიმდინარე ეტაპზე ამ პროცესს, სავარაუდოდ, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და ზამთრის მოახლოება გარკვეულწილად შეაფერხებს.

ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ევროპის ცენტრალური ბანკი არ იზიარებს მოსაზრებებს ეკონომიკის შესაძლო რეცესიის შესახებ. მათი ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ უახლესი მონაცემები ევროზონის ეკონომიკური ზრდის შენელებაზე მიუთითებს და მოსალოდნელია სტაგნაცია, როგორც მიმდინარე წლის ბოლო, ასევე მომდევნო წლის პირველ კვარტალში, მათი აზრით, ეს პროცესი რეცესიაში არ გადაიზრდება. მათი პროგნოზის მიხედვით, 2022 წელს ევროზონის ეკონომიკას 3.1 %-იანი ზრდა ექნება, მომავალ წელს – 0.9 %-იანი, ხოლო 2024 წელს კი ზრდა 1.9 %-ს მიაღწევს. ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით განსხვავებული პროგნოზები აქვთ კომერციულ ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. მაგალითად, გერმანული “Deutsche Bank” 2023 წელს ევროკავშირის ეკონომიკის 2.2 %-იან შემცირებას ვარაუდობს (Kollmeyer, 2022).

არსებული სირთულეების მიუხედავად, შრომის ბაზარი მოწოდების სიმაღლეზეა და საკუთარი წვლილი შეაქვს ეკონომიკური აქტივობების განხორციელებაში. ევროსტატის მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის ივლისში ევროზონაში უმუშევრობის რეკორდულად დაბალი, 6.6%-იანი, მაჩვენებელი დაფიქსირდა მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში უმუშევრობის დონე 7.7 % იყო (Eurostat, 2022). რაც შეეხება ინდუსტრიულ წარმოებებს, ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ივნისში ევროკავშირში წარმოება, მაისის თვესთან შედარებით, 0.6 %-ით გაიზარდა, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი – 2.4 %-ით. თუმცა, ივლისში წინა თვესთან შედარებით წარმოება 1.6%-ით დაეცა (Eurostat, 2022). როგორც ჩანს, წარმოების კუთხით ევროპას მეტი პრობლემა ჯერ კიდევ წინ აქვს. გამოცემა “Bloomberg-ის” მიხედვით, გერმანული ავტომწარმოებელი კომპანია “Volkswagen” საკუთარი წარმოების აღმოსავლეთ ევროპაში გადატანაზე ფიქრობს, რის მიზეზადაც ბუნებრივ აირზე შეზღუდულ წვდომას ასახელებს (Bloomberg, 2022). გარდა ამისა, არაერთი წყარო წერს, რომ ანალოგიური მიზეზის გამო ევროპის ქვეყნებში მეტალის მწარმოებელი და გადამამუშავებელი კომპანიებიც მძიმე პრობლემების წინაშე არიან (Desai, 2022). შესაბამისად, მომდევნო თვეებში წარმოების კუთხით კომპანიები შესაძლოა კიდევ უფრო ხელშესახები პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

ენერგეტიკა

რუსული აგრესიის გაგრძელებასა და ზამთრის მოახლოებასთან ერთად ევროპის ენერგომომავალი უფრო და უფრო აქტუალური საკითხი ხდება. ამას, ერთი მხრივ, განაპირობებს ევროპის მაღალი დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე, მეორე მხრივ – ალტერნატიული მომწოდებლების მოძიების გრძელი პროცესი და ასევე, მოსკოვის მხრიდან ევროპისთვის გაზის მიწოდების ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. დასავლური სანქციების შვიდმა პაკეტმა ვერ ამოიღო მიზანში რუსული ბუნებრივი აირი მაშინ, როდესაც შეზღუდვები შეეხო ისეთ ენერგეტიკულ რესურსებს, როგორებიცაა ნედლი ნავთობი და ქვანახშირი. ფაქტია, რომ ევროპას უჭირდა უარის თქმა რუსულ გაზზე, თუმცა რუსეთმა თავად დაიწყო ამ მხრივ პრობლემების შექმნა და ამ რესურსის შანტაჟის იარაღად გამოყენება. ამგვარად, ევროგაერთიანება მნიშვნელოვანი ენერგოგამომწვევების საფრთხის წინაშე დგას, რაც ზრდის როგორც ევროპის ქვეყნების ეკონომიკური რეცესიის რისკებს, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის ამბიციებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით.

რუსული აგრესიის შედეგად, დასავლეთის მხრიდან დაწესებული სანქციების საპასუხოდ, მიმდინარე წლის მარტი-ივლისის პერიოდში კრემლმა ევროპის ქვეყნებს გაზმომარაგება მნიშვნელოვნად შეუმცირა, ხოლო ზოგიერთ მათგანს კი სრულად შეუწყვიტა. ფაქტია, რომ ბუნებრივი აირი მოსკოვისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის იარაღი. იმ ფონზე, როდესაც ევროპა საკუთარი გაზმომარაგების 40%-ს სწორედ რუსეთისგან იღებდა, ცხადია, მისი შემცირება და შემდგომში ბლოკადა მისთვის უდიდესი დარტყმა იყო, რამაც გამოიწვია როგორც ნარმოებების შეფერხებები, ასევე საგრძნობი ინფლაცია. გერმანელი ანალიტიკოსების გათვლებით, ფასების საერთო დონის ზრდამ შესაძლოა 10%-საც კი გადააჭარბოს.

ევროპაში რუსული გაზის ტრანსპორტირების ყველაზე მსხვილი გაზსადენია „ჩრდილოეთის ნაკადი 1“, რომლითაც გაზი მიეწოდება როგორც გერმანიას, ასევე ავსტრიას, საფრანგეთსა და იტალიას. ჯერ კიდევ გასულ წელს რუსულმა სახელმწიფო კომპანია „გაზპრომმა“ ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შემცირება დაიწყო. უპრეცედენტო მასშტაბის სანქციების დაწესებასთან ერთად კი ამ პროცესმა უფრო რადიკალური ხასიათი მიიღო. შედეგად, მოსკოვმა ივლისში აღნიშნული გაზსადენის დატვირთვა 40%-დან 20%-მდე შეამცირა (Meredith, 2022). ამგვარად, „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ დღე-ღამეში დაახლოებით 33 მილიონი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირებას ახდენდა მაშინ, როდესაც გასულ წელს ეს მაჩვენებელი დღიურ 220 მილიონ კუბურ მეტრს აღწევდა (Steitz, Escritt, 2022). კრემლმა ეს გადაწყვეტილება ტექნიკური სამუშაოების აუცილებლობითა და ტექნიკური კომპონენტების ნაკლებობით ახსნა, თუმცა ეს არგუმენტი ევროპის ლიდერებისთვის არადამაჯერებელი იყო.

„გაზპრომის“ მხრიდან ბუნებრივი აირის შეზღუდულ რაოდენობას მყისვე მოჰყვა ევროკავშირის ნევრი ქვეყნების გადაწყვეტილება გაზის საკუთარი მოხმარების 15%-ით შემცირების თაობაზე (Schmitz, 2022). ეს ნაბიჯი ევროპის მხრიდან შესაძლოა აღქმული იყოს როგორც სიგნალი, რომ იგი არ მოექცევა რუსული წნეხის

ქვეშ და რეზერვების შევსების სანაცვლოდ არ აპირებს სანქციების უკან წაღებასა და უკრაინის სამხედრო შეიარაღებით დახმარების შეწყვეტას. რამდენადაც ცნობილია, ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას საკუთარი გაზის რეზერვების 80% უკვე შევსებული აქვს. ბუნებრივი აირის მარაგების ყველაზე დიდი რაოდენობა აქვთ გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და ნიდერლანდებს, ხოლო ყველაზე მცირე - ლატვიას, ბულგარეთსა და უნგრეთს.

ევროპისთვის რუსული გაზის მიწოდების გაზრდის მიზნით აშენდა 11 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტი - „ჩრდილოეთის ნაკადი 2“, რომელმაც გასული წლის ბოლოს სატესტო რეჟიმში დაიწყო მუშაობა. ამ პროექტს ეწინააღმდეგებოდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა. მათი განცხადებით, აღნიშნული გაზსადენი მოსკოვს მისცემდა ევროპაზე კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებას. უკრაინაში, რუსული აგრესიის მეორე დღესვე კი პროექტის მთავარმა მხარდამჭერმა გერმანიამ მისი სერტიფიცირების პროცესი შეაჩერა. მიმდინარე წლის 26 სექტემბერს „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ ოპერატორმა განაცხადა, რომ მილსადენში წნევა 105-დან 7 ბარამდე დაეცა და, სავარაუდოდ, ეს იყო გაზის გაჟონვა ბალტიის ზღვაში (Lawson, 2022). როგორც ცნობილი გახდა, ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე მილსადენში ჩაიტვირთა 300 მილიონი კუბური მეტრი გაზი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად იგი არ იყო ამოქმედებული. მეორე დღეს კი ანალოგიური შემთხვევა „ჩრდილოეთის ნაკადი 1-ზეც“ დაფიქსირდა. ევროკავშირის ლიდერები ამ პროცესში რუსეთის ხელწერას ხედავენ და მას საბოტაჟში ადანაშაულებენ.

ცხადია, ევროგაერთიანება აქტიურად მუშაობს კრიზისის გადასალახად. ასევე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ცალკეულ ქვეყნებთან ბუნებრივი აირის მიწოდების გაზრდის თაობაზე. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნები სხვადასხვა სახელმწიფოსთან აფორმებენ შიდა მოხმარების გაზის შესყიდვის შესახებ შეთანხმებებს. ერთ-ერთ მთავარ ალტერნატივად გათხევადებული ბუნებრივი აირი განიხილება, რომლის ტრანსპორტირებაც ტანკერებით ხდება. ამ მხრივ ლიდერი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელმაც ბოლო წლებში ფაქტობრივად 3-ჯერ გაზარდა თხევადი გაზის ექსპორტი ევროპაში. გერმანიამ დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და შესანახი ტერმინალების მშენებლობა. ასევე, ევროპამ 155 მილიარდი აშშ დოლარი ჩადო განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებაში, თუმცა მოკლევადიან პერიოდში მათგან ხელშესახები შედეგები მოსალოდნელი არაა.

მიმდინარე ეტაპზე, ევროგაერთიანების მხრიდან ყველაზე გონივრული ნაბიჯი ენერჯის დაზოგვაა. ზოგიერთი ანალიტიკოსის შეფასებით, 15%-ით დაზოგილი ენერგომოხმარება, სხვა ალტერნატივებთან ერთად, შესაძლოა იყოს საკმარისი ზამთრის პერიოდის გადასაგორებლად, თუმცა ეს პროცესი არცთუ ისე მარტივი მისაღწევია. ამ კუთხით კი რიგმა ქვეყნებმა უკვე დაიწყეს ძალიან მძიმის გაღება. მაგალითად, ბერლინში, გერმანიის პრეზიდენტის სასახლე აღარ არის განათებული ღამით, ზაფხულის პერიოდში, ქალაქ ჰანოვერში, სპორტულ დარბაზებსა და აუზებში ცხელი წყალი გამორთეს, მუნიციპალიტეტები იღებენ სხვადასხვა ზომებს

ზამთრის სიცივესთან გასამკლავებლად, მათ შორის, ალტერნატიული გათბობის საშუალებების მოძიებით (Dezem, Wilkes, Delfs, 2022). გარდა ამისა, ნამყვანი ქვეყნები ცდილობენ გაზის ნაცვლად ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების გამოყენებასაც.

ენერგეტიკულ პრობლემებთან გასამკლავებლად ევროპის ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ მოსახლეობისა და ბიზნესის დახმარების პროგრამებს. მაგალითად, გერმანიამ განაცხადა, რომ 15 მილიარდი ევროთი დაეხმარება რუსული გაზის იმპორტიორ სახელმწიფო კომპანია “Uniper”-ს, რათა მომხმარებლებს არ გაეზარდოთ საფასური. გარდა ამისა, გეგმავს ბენზინისა და დიზელის სანვავზე სახელმწიფო გადასახადების დროებით მოხსნას, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოქალაქეებისთვის იყოს უფრო მეტად იაფი და ხელმისაწვდომი. საფრანგეთის პარლამენტმა 3 აგვისტოს მიიღო ინფლაციის შემსუბუქების 20 მილიარდი ევროს პაკეტი, გაზარდა პენსიები და კომპანიებს მისცა უფლება თანამშრომლებს გადაუხადოს ბონუსები, რომლებიც გათავისუფლებული იქნება სავალდებულო სახელმწიფო გადასახადებისგან. მათი განცხადებით, ეს გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს შინამეურნეობების მსყიდველუნარიანობის გაძლიერებას. იტალიის მთავრობამ 4 აგვისტოს დაამტკიცა 17 მილიარდი ევროს ღირებულების დახმარების პაკეტი. იგი მიზნად ისახავს ელექტროენერჯისა და გაზის გადასახადების შემცირებას. ეს თანხა ემატება იანვრიდან უკვე დახარჯულ 35 მილიარდ ევროს, რომელიც გამოყოფილი იყო ელექტროენერჯის, გაზისა და ბენზინის ხარჯების გავლენის შესამსუბუქებლად (Euronews, 2022).

ომის დაწყებასა და გლობალური შეზღუდვების გამოყენებასთან ერთად, ევროპას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთისთვის ბუნებრივი აირი იქნებოდა ხელშეუხებელი რესურსი, გამომდინარე იქიდან, რომ უმძიმესი სანქციების მუშაობის პირობებში ეს იქნებოდა მისთვის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყარო, საიდანაც მიღებული ფინანსური რესურსები, ერთი მხრივ, ომის წარმოებაში უნდა გამოეყენებინა, ხოლო მეორე მხრივ – ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების იმიტაციის შექმნაში. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ ალტერნატიული მომწოდებლების სწრაფად მოძიების იმედიც, რაც, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ამ პროცესს საკმაოდ დიდი დრო და რესურსი დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი პრაქტიკულად ჩანასახშივე ეცადა ჩაეკლა ევროპის სურვილი შეეცნოთ რეზერვები და ზამთარს ზედმეტი პრობლემების გარეშე შეხვედროდნენ, ფაქტია, ევროპამ მეტ-ნაკლებად მოახერხა ამ მიზნის მიღწევა. ამ კუთხით ერთ-ერთი საინტერესო კითხვაა, თუ სად მიაქვს მოსკოვს ევროპისთვის განკუთვნილი გაზი და საიდან იღებს ომის საწარმოებლად საჭირო ფინანსებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი აირის საფასური დაახლოებით 60%-ით არის გაზრდილი. საორიენტაციო გათვლებით, ომის დაწყებიდან მხოლოდ პირველ 3 თვეში კრემლის რეჟიმმა გაზისა და ნავთობის რეალიზაციიდან დაახლოებით 95 მილიარდ აშშ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. გარდა ამისა, მას ინდოეთის, ჩინეთის, აფრიკისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების სახით ჰყავს პარტნიორები, რომლებიც მზად არიან რუსული ენერგორესურსები შეიძინონ, მით უმეტეს, როდესაც რუსეთი მათ ფასდაკლებას სთავაზობს.

დასკვნა

რუსული აგრესიის გაგრძელებასთან ერთად, ფაქტობრივად ყოველკვირეულად იცვლება ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისი პროგნოზები. თუნდაც ბოლოდროინდელი ინფორმაცია რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შესახებ აჩენს გარკვეულ მოლოდინებს, რაც პირდაპირ აისახება ფინანსურ ბაზრებსა და ქვეყნების ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ფაქტია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უდიდესი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ და ავტორიტარული რეჟიმის იმპულსური გადაწყვეტილებების ფონზე თითოეულ საკითხზე უწევთ მყისიერი რეაგირება.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ევროპას აქვს რუსურსი დაძლიოს ნებისმიერი სირთულე და შეძლებისდაგვარად იმოქმედოს იმ ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც მას ფინანსურ პრობლემებს უქმნის. ამ კუთხით, მაგალითად, შესამჩნევი წინსვლაა ენერგორუსურების დივერსიფიცირების თვალსაზრისით, სადაც უკვე გაჩნდნენ ალტერნატიული მომწოდებლები. თუმცა, ეს პროცესი არცთუ ისე სწრაფად მიმდინარეობს და ამგვარად, ევროპულ ქვეყნებს მოკლევადიან პერიოდში ხელშესახებ შედეგებს ვერ აძლევს. არსებული სირთულეების კვალდაკვალ ევროკავშირი ეხმარება უკრაინას არა მხოლოდ სამხედრო და ფინანსური რუსურსებით, არამედ მზადაა სრულად ჩაერთოს მისი აღდგენის პროცესში. მათი პირდაპირი ინტერესია, რომ მილიონობით ლტოლვილი უსაფრთხოდ დაბრუნდეს საკუთარ სამშობლოში.

2020 წლის გლობალურმა პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა ურთულესი მოცემულობის წინაშე დააყენა, ხოლო რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა კი აღნიშნული პრობლემები ახლიდან წარმოშვა. მიუხედავად მძიმე ვითარებისა, ეკონომიკური მაჩვენებლები მაინც იმედისმომცემია და თუნდაც ევროპის ეკონომიკის მცირედი რეცესიის შემთხვევაშიც არსებობს მისი სწრაფად აღდგენის მოლოდინი. უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დიდ პრობლემად მაინც ინფლაცია სახელდება, რაზეც უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ევროპის ლიდერები უფრო მეტად ენერგეტიკულ რუსურსებზე აპელირებენ და რუსეთს ხელოვნური სირთულეების შექმნაში ადანაშაულებენ. ინფლაციის ზრდასთან ერთად მკაცრდება მონეტარული პოლიტიკა, რაც თავისთავად იწვევს ეკონომიკის შენელებას.

თავის მხრივ, უმძიმესი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე მყოფი რუსეთი მზად არის ევროპას ძლიერი დარტყმა მიაყენოს, გაზის ბლოკადის სახით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მისთვის დამატებითი ფინანსური რესურსების დაკარგვას გამოიწვევს და ფაქტია, ეს პროცესი აქტიურ ფაზაშია. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის კარგად ესმის ის საფრთხე რაც ზამთრის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო მატულობს. ასევე, მას ნებისმიერ ფასად უწევს რუსულ გაზზე უარის თქმა – სხვა გზა უბრალოდ არც აქვს. ფაქტია, რომ, სამწუხაროდ, ევროპას არ აქვს ბევრი სამოქმედო ალტერნატივა გარდა იმისა, რომ შეამციროს მოხმარება, აქტიური მოლაპარაკებები აწარმოოს პოტენციურ მომწოდებლებთან და მოიძიოს გაზის შემცვლელი სხვა რესურსები. რუსეთისგან უფრო რადიკალური გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რისი ალბათობაც დიდია, ევროპას, სავარაუდოდ, უფრო კრიზისული

პერიოდიც დაუდგება, კითხვაა მხოლოდ – რამდენად მძიმე? და ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ზამთრის დადგომამდე გადადგმულ ნაბიჯებსა და მათ ეფექტიანობაზე. ამის მაგალითი შესაძლოა იყო, სწორედ „ჩრდილოეთი ნაკადების“ გაზსადენების გაჭონვის ბოლო ცნობები, რაშიც სწორედ რუსეთს ადანაშაულებენ. ანალიტიკოსების განცხადებების თანახმად, პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც კი, აღნიშნული მილსადენები გაზის ტრანსპორტირებას ვერ უზრუნველყოფენ წლევანდელი ზამთრის პერიოდში. ამის მიზეზია სწორედ მათი რამდენიმე მონაკვეთის სერიოზული დაზიანება, და გაზის გაჭონვა შესაძლოა კვირების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს.

როგორც ცნობილი გახდა, ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ ამზადებს სანქციების მერვე პაკეტს, რომელიც მიმდინარე წლის 28 სექტემბერს ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა წარადგინა. მისი განცხადებით, ეს დაკავშირებულია უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. რეფერენდუმების ჩატარებასა და რუსეთის ომის დანაშაულებთან. ახალი სანქციები მოიცავს გარკვეულ პროდუქტებზე რუსეთიდან იმპორტის აკრძალვას, რაც ქვეყნისთვის შემოსავლების სახით, წლიური 7 მილიარდი ევროს დაკარგვას ნიშნავს. გარდა ამისა, მისი შეთავაზებაა, რომ ევროკავშირიდანაც აიკრძალოს გარკვეული სახის საქონლის რუსეთში ექსპორტი, რომელიც შეეხება დამატებით საავიაციო აღჭურვილობას, ელექტრონულ კომპონენტებსა და ქიმიურ ნივთიერებებს. ასევე, მისი წინადადებაა, რომ გაფართოვდეს ინდივიდუალური სანქციების სია და დამატებითი შეზღუდვები დაუწესდეთ მათ, ვინც სანქციების გვერდის ავლას ცდილობს (European Commission, 2022). მიუხედავად გართულებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა, იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპა კიდევ უფრო დიდი პრობლემების გარეშე გადააგორებს ზამთარს და უკრაინის გამარჯვებასთან ერთად დაიწყებს ეკონომიკის აღდგენისა და გაჯანსაღების პროცესს.

ბიბლიოგრაფია

- “Annual Inflation.” Eurostat. 104/2022. Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/14698150/2-16092022-AP-EN.pdf/741bf6b2-1643-6ff0-34e7-31522ce1e252>
- “Decisions Regarding Monetary Policy Implementation.” Implementation note issued September 21, 2022. Federal Reserve System. Retrieved from: <https://www.federalreserve.gov/newsevents/pressreleases/monetary20220921a1.htm>
- “Euro Area Inflation Summary for August 2022.” Rate Inflation. Retrieved from: <https://www.rateinflation.com/inflation-rate/euro-area-inflation-rate/>
- “Euro Area Unemployment.” Eurostat. 97/2022. Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/14698171/3-01092022-AP-EN.pdf/5a4f3990-b8b6-5e7b-4dfa-d97483802398?t=1661949692610>
- “HICP Monthly Data.” Eurostat. 2022. Retrieved from: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/prc_hicp_manr/default/table?lang=en
- “Industrial Production.” Eurostat. 101/2022. Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/14698159/4-14092022-AP-EN.pdf/653e3e30-294b-4af7-4db4-8bab2cad782?t=1663065884252>
- “Industrial Production.” Eurostat. 91/2022. Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/14675424/4-12082022-AP-EN.pdf/ae620579-bda3-f790-3940-ced13b07cda0?t=1660222461025>
- “Inflation: This is What These Governments are Doing to Ease the Pain of the Cost of Living Crisis.” Euronews and Reuters. 2022. Retrieved from: <https://www.euronews.com/next/2022/08/09/inflation-this-is-what-these-governments-are-doing-to-ease-the-pain-of-the-cost-of-living->
- “A Press Statement by President Von der Leyen on a New Package of Restrictive Measures Against Russia.” European Commission. 2022. Retrieved from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_22_5856
- “We Have Raised Interest Rates. What Does it Mean for You?” European Central Bank. 2022. Retrieved from: https://www.ecb.europa.eu/ecb/educational/explainers/tell-me-more/html/interest_rates.en.html
- Boersh, A. “Eurozone Economic Outlook, August 2022.” Deloitte Insights. 2022. Retrieved from: <https://www2.deloitte.com/us/en/insights/economy/emea/eurozone-economic-outlook.html>
- Desai, P. “Energy Crisis an ‘Existential Threat’ to EU Metal Production – Eurometaux.” Reuters. 2022. Retrieved from: <https://www.reuters.com/markets/commodities/energy-crisis-an-existential-threat-eu-metal-production-eurometaux-2022-09-07/>
- Dezem, V; Wilkes, W and Delfs, A. “Germany Has Three Months to Save Itself From a Winter Gas Crisis.” Bloomberg. 2022. Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-08-01/germany-heading-to-gas-emergency-with-russia-keeping-nord-stream-flows-reduced>
- Kollmeyer, B. “The Situation has Deteriorated. Deutsche Bank Forecasts Deeper Europe Recession Amid a War-fueled Energy Crisis.” MarketWatch. 2022. Retrieved from: <https://www.marketwatch.com/story/the-situation-has-deteriorated-deutsche-bank-forecasts-deeper-europe-recession-amid-a-war-fueled-energy-crisis-11663763905>
- Lawson, A. “Nord Stream 2 Pipeline Pressure Collapses Mysteriously Overnight.” The Guardian. 2022. Retrieved from: <https://www.theguardian.com/business/2022/sep/26/nord-stream-2-pipeline-pressure-collapses-mysteriously-overnight>
- Meredith, S. “Russia has Cut Off Gas Supply to Europe Indefinitely. Here’s What You Need to Know.” CNBC. 2022. Retrieved from: <https://www.cnbc.com/2022/09/06/energy-crisis-why-has-russia-cut-off-gas-supplies-to-europe.html>

- Schmitz, R. "The EU has Agreed to Cut Gas Consumption by 15% in Order to Reduce Reliance on Russia." NPR. 2022. Retrieved from: <https://www.npr.org/2022/07/26/1113810518/the-eu-has-agreed-to-cut-gas-consumption-by-15-in-order-to-reduce-reliance-on-ru>
- Steitz, C and Escritt, T. "Nord Stream 1 Pipeline to Shut for Three Days in Latest Fuel Blow to Europe." Reuters. 2022. Retrieved from: <https://www.reuters.com/business/energy/gazprom-says-nord-stream-1-pipeline-shut-three-days-end-aug-2022-08-19/>
- Ward-Glenton, H. "Eurozone Inflation Hits Another Record of 9.1% as Food and Energy Prices Soar." 2022. CNBC News. Retrieved from: <https://www.cnbc.com/2022/08/31/euro-zone-inflation-hits-another-record-of-9point1percent-as-food-and-energy-prices-soar.html>
- Wilkes, W. "Volkswagen Warns of Production Shift from Germany Over Gas Shortage." Bloomberg. 2022. Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-09-22/volkswagen-warns-of-production-shift-toward-southwest-europe>